ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲒᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 287 (12495) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ

ᲒᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს თავდადებული შრომით უპასუხებს დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც 28 ნოემბრისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების წლიური დავალება და შვიდწლედის მეხუთე წლის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს უკვე გაუგზავნა ათასობით ტონა მარგანეცი.

მამაცური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან სახელმოხვეჭილი მაღაროელები მ. აბრამიშვილი, პ. გოგატიშვილი, ნ. მესხი, ბ. აბრამიშვილი, ვ. იაკობიძე, გ. ღავთაძე და სხვები.

დიმიტროველები საახალწლოდ სამშობლოს მისცემენ ათეულ ათას მანეთობით ზეგეგმითს პროდუქციას.

ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲣᲮᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კერამიკული კომბინატის (დირექტორი ვ. ურუშაძე) კოლექტივი მტკიცედ იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდების მოპოვებისათვის და საამაყო შედეგებსაც აღწევს.

წარმოების კოლექტივმა სამი დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა 1962 წლის დავალება და ახლა პროდუქციას შვიდწლედის მეხუთე წლის ანგარიშში იძლევა.

წარმოებაში ბევრი ღონისძიება განხორციელდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დასანერგავად: მექანიზებულია გვირაბ-ღუმელიდან ვაგონების გამოდგების პროცესი, სამშენებლო ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირება საამქროდან მზა პროდუქციის საწყობში. ავტომატიზებულია გამოწვის ტემპერატურის რეგულირება სამხატვრო საამქროს ქურაში, დაწყებულია მუშაობა გვირაბღუმელებში გამოწვის ტემპერატურის რეგულირების ავტომატიზაციისათვის. ძველი კონსტრუქციის ერთი წნული შეცვლილია ახალი კონსტრუქციის წნეხით, მოდერნიზებულია ლენტური წნეხი მასის დამამზადებელ საამქროში, აგებულია ორკამერიანი ღუმელი კაოლინის გამოსაწვავად, გაუმჯობესებულია ქურაში სამშენებლო ნახევრადფაიფურის ჩადგმის ტექნოლოგია.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად მკვეთრად გაიზარდა არა მარტო პროდუქციის გამოშვება, არამედ გაუმჯობესდა წარმოების ეკონომიური მაჩვენებლებიც. თერმოფეტ თვეში გეგმა გადამეტებით გამოშვებულია 189,1 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის საყოფიერება გეგმასთან შედარებით 7,5 პროცენტით ამაღლდა, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 2,3 პროცენტით შემცირდა, მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში ათ თვეში შეტანილია 120 ათასი მანეთი.

ცხადია, ახალი ტექნიკა ბევრს ეერაფერს მოგვცემდა, მას რომ გონიერი, საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანები არ მართავდნენ. ასეთი ადამიანები აქ ბევრნი არიან. ვთხოვეთ ქარხნის დირექტორს ვასო ურუშაძეს დაესახელებინა ისინი, რომლებიც ნამდვილი შუქურები არიან კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

— ჩვენი კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოსაპოვებლად და გულანდილად გეტყვით, — ამბობს კომბინატის დირექტორი ვ. ურუშაძე, — რომ ამ ბრძოლაში უკვე მოპოვებული გვაქვს კარგი შედეგები. ეს მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის ნაყოფია. მაგრამ ყველას წვლილი ერთნაირი მაინც არ არის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲚᲘᲗᲔᲐᲢᲠᲘ

წარმოების ნამდვილი შუქურები არიან კომუნისტური შრომის ცველა, რომელსაც გ. გოგიაშვილი ხელმძღვანელობს, კომუნისტური შრომის ბრიგადებს შორის პირველობას არავის უთმობენ ბრიგადები, რომლებსაც მ. სულაბერიძე, ფ. კასრელიშვილი, ლ. გელოვანი, გ. შალამბერიძე ხელმძღვანელობენ.

ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიქმნა საწარმოო კომიტეტი, სადაც არჩეულია 17 საუკეთესო ადამიანი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ: თბილისის კერამიკული კომბინატის კომუნისტური შრომის საამქროს უფროსი ქ. ვაშაკიძე (მეორე მარცხნიდან) მუშებს ა. პატარაკაცაშვილს (მარცხნიდან), ე. გაჩეჩილაძეს, ნ. კიკაბიძეს და ვ. მაისურაძეს აცნობს წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ო. ქუთათელაძე) საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა სამი დეკემბრისათვის შეასრულა და ახლა 1963 წლის ანგარიშში შრომობს. წარმოება 50 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას მისცემს სახელმწიფოს.

ფაბრიკის კოლექტივმა ათ თვეში გამოშვებულია პროდუქციის თვითღირებულება 17,8 ათასი მანეთით შეამცირა. დაზოგა ძვირფასი მასალები, მიიღო ზეგეგმითი ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 33,4 ათასი მანეთი შეიტანა.

ამ სასახელო შრომაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაბრიკის სხვადასხვა უბნის უფროსებმა ა. ჭელიძემ, ვ. ხაინდრავამ, ზ. გრიგორიანმა და კ. კალანდარიშვილმა, მოწინავე მუშებმა ბ. კობახიძემ, ო. მომოტოვამ, გ. ალიბეგაშვილმა, ვ. მაისურაძემ და სხვებმა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). საქსოფლტექნიკის ცხაკაიას სარაკონთაზორისო განყოფილებამ (მმართველი გ. მორჩილაძე) აუშენა ახალი კეთილმოწყობილი სახელოსნო, სადაც შეაკეთებენ ტრაქტორებს, ავტომანქანებს, ჩაის სასხლავ და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

ᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პლასტმასის ქარხნის (დირექტორი მ. ჭანტურია) კოლექტივმა შვიდწლედის მეოთხე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში საახალწლო წარმატებას მიაღწია. სამშობლოს წლიური გეგმას შესრულება 7 დეკემბრისათვის უპატაკა და მტკიცე პირობა დადო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასობით ათასი მანეთის პროდუქცია.

აქ საერთო პროდუქციის გამოშვებას როდი სჯერდებიან. გეგმას შესრულებასთან ერთად მკვეთრად აუმჯობესებენ ეკონომიურ მაჩვენებლებს. თერმოფეტ თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ხუთი პროცენტით გაადიდეს, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 55 ათასი მანეთით შეამცირეს. წარმოებამ მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 59 ათასი მანეთი შეიტანა. დაზოგილია 6 ტონა ძვირფასი ნედლეული.

ამ ქარხნის გამართულ მუშაობაზე დიდად ამოა დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის წარმატებითი მუშაობა, ამიტომ არის, რომ დიდ უურადღებას უთმობენ ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულებას, სხვა წარმოებათა მოთხოვნილებების შესაბამისად ზრდიან დეტალების წარმოებას, ქმნიან და უშვებენ ისეთ ახალ დეტალებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა. წელს ითვისეს 110 სახის ახალი დეტალების წარმოება. ბათუმის ელექტროხელსაწყოების დამამზადებელ და ვემთსამშენებლო ქარხნებს ტრანსფორმატორები ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან შემოპქონდათ. წელს თბილისის პლასტმასის ქარხანამ ითვისა ასეთი სახის ტრანსფორმატორების წარმოება და გაუგზავნა ბათუმელ მეგობრებს.

ახალი დეტალების ათვისებაში წარმოების კოლექტივს დიდად ეხმარებიან რაციონალიზატორები და გამომგონებლები. წელს ქარხანაში 28 მეტად სასარგებლო წინადადება დაინერგა, რომელთა წლიური პირობითი ეკონომია 34.700 მანეთის აჭარბებს. საგულისხმოა ქარხნის საიარაღო საამქროს უფროსის ს. მურადიანის მიერ წამოყენებული სამი წინადადება, რომელთა დანერგვით ქარხანამ 6.249 მანეთი წლიური პირობითი ეკონომია მიიღო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲫᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲚᲘᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

1962 წელი დასასრულს უახლოვდება. და ახლა, როგორც ყოველთვის, ჯაჯამებთ მიმდინარე წლის შედეგებს. ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდი მოვლენა იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი. ამ პლენუმის გადაწყვეტილებანი სახავენ ნათელ გზებს პარტიის XXII ყრილობის, პარტიის პროგრამამ მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

პლენუმზე მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ბაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა — წარმატებით სრულდება.

ეს ახარებს საბჭოთა ადამიანებს, აღაფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში. მათ კარგად ესმით, რომ თავდადებული შრომა, დავალებათა ვადამდე შესრულება აჩქარებს ჩვენს წინსვლას. „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲐᲨᲘ — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲠᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲦᲝᲠᲫᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲖᲔ, ᲘᲛ ᲣᲜᲐᲠᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲠᲜᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ“.

საბჭოთა ხალხების გიგანტურ ღონისძიებებში პარტიის მიზანდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ამ დღეებში სამრეწველო საწარმოებიდან და კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის მრავალი სასიხარული ცნობა ჩვენი ადამიანების შრომითი გამარჯვებების, შვიდწლედის ახალი ზღუდეების აღების, მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების შესახებ.

დღითიდღე იზრდება იმ სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობათა რიცხვი, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა და ამჟამად 1963 წლის ანგარიშში მუშაობენ. ჭიათურის - მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის, პერეკოპისა და რგანის მაღაროთა კოლექტივებმა მარგანეცის დამზადების წლიური გეგმა უკვე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ძვირფასი პროდუქცია მისცეს სამშობლოს. წლიური გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულეს თბილისის კერამიკულმა, სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატებმა და ბევრმა სხვა საწარმომ.

წელს ცუდად როდი იშრომეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. ცნობილია ქართველ მეჩაიეთა გამარჯვება, მათ ჩაის კრეფაში მიაღწიეს მიჯნას, რომელიც შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით განსაზღვრულია 1965 წლისათვის, და ქვეყანას მისცეს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. კარგი შედეგი მოიპოვეს რესპუბლიკის შვეინახეებმაც, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 200 ათას ტონაზე მეტი უურძენი, ესე იგი 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, სოფლის მეურნეობის ადამიანები თავდადებით რომ იბრძვიან ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ავლენენ და წარმოების სამსახურში აყენებენ ახალ-ახალ რეზერვებს. ბევრგან დაჩქარეს წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ნაყოფიერად მუშაობენ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ზრუნავენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ბევრი საწარმოს კოლექტივის თავდადებული შრომით აისნება, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულა. მდგომარეობა მკვეთრად გააუმჯობესა მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველომ, რომლის სისტემაშიც ყველა საწარმომ შეასრულა 11 თვის გეგმა.

მაგრამ ახლა, როცა მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგებს ჯაჯამებთ, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ხარვეზები და ნაკლოვანებებიც, რომლებიც ჯერ კიდევ საგრძნობია ჩვენი შრომის, ჩვენი მუშაობის ბევრ უბანზე. ყველგან მთელი სერიოზულობით როდი ეკიდებიან მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას, ყველგან როდი დგანან დროის მოთხოვნათა დონეზე. განა სამრეწველო საწარმოთა ყველა რეზერვია ჩაყენებული შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულების სამსახურში? საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ რეზერვებს მთლიანად არ იყენებენ. 11 თვის გეგმა ვერ შეასრულა სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს 9 საწარმომ, მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს 5 საწარმომ, ელექტროტექნიკური მრეწველობის 5 საწარმომ.

ბევრგან საკირო უურადღება არ ექცევა მანქანა-დანადგარების სრული დატვირთვით გამოყენებას. ჯერ კიდევ აქვს ადგილი შემთხვევებს, როცა ხმარებაშია ყოვლად მოძველებული ტექნიკა, ხოლო უახლესი მოწყობილობა თვეობით უმოქმედოდ აწყვია, არ ზრუნავენ ტექნიკური პროგრესისათვის, დანადგარების მოდერნიზაციისათვის. ყოველივე ეს კი უდიდესი რეზერვებია, ისინი უნდა ავამოქმედოთ.

სამეურნეო წლის დამთავრებამდე სამოოდე კვირაღა დარჩა, და დღემდე საგრძნობი ჩამორჩენაა ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. 1 დეკემბრისათვის რესპუბლიკაში მხოლოდ 91,9 პროცენტით იყო შესრულებული მზრალად ხვნის გეგმა. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ამბროლაურისა და სამტრედიის საწარმოო სამმართველოები. პირველმა გეგმა შეასრულა 50 პროცენტით, მეორემ —49,5 პროცენტით; ხოლო ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს აქვს გეგმის შესრულების ყოვლად სამარცხვინო და დასაგმობი მაჩვენებელი — 18,3 პროცენტი.

მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა პირუტყვისათვის უხეში საკვების დამზადებაში, 1 დეკემბრისათვის გეგმა შესრულებულია 58,8 პროცენტით. ამ სერიოზული სამუშაოსადმი არასაკმაო ყურადღებით აიხსნება, რომ უხეში საკვების დამზადების გეგმის შესრულებაში დიდად ჩამორჩენა ყველა ტერიტორიული საწარმოო სამმართველო; ხოლო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს, დუშეთის, წყალტუბოსა და სიღნაღის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს გეგმა შესრულებული აქვთ: პირველს — 33,8 პროცენტით, მეორეს— 48,7 შესამეს — 46,6, მეოთხეს —42,5 პროცენტით. ამ სამმართველოების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მესვეურები როდისღა ფიქრობენ ხელი მოჰკიდონ უხეში საკვების დამზადების საქმეს? როგორ ფიქრობენ ისინი პირუტყვის გამოზამთრებას, რით უნდა გამოკვებონ პირუტყვი? საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, მეტი რომ არა ვთქვათ, უპასუხისგებლობა, და ამის მოთმენა არ შეიძლება.

დარაზმოს მასები ნაკლოვანებათა და ჩამორჩენის დაძლევისათვის, წარმოების ახალი რეზერვების გამოსავლენებლად — აი ამჟამად პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მთავარი ამოცანა. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი მცირე დრო წლიური გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის. ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია გავაუმჯობესოთ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, წარვმართოთ ჩვენი ადამიანების ენერგია, ცოდნა და გამოცდილება კონკრეტული საწარმოო ამოცანების გადასაწყვეტად.

ღრმა, გონივრულ ანალიზს უნდა უკეთებდნენ სამეურნეო წლის შედეგებს თვითეულ საწარმოო სამმართველოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში. დროა ყველგან ისწავლონ საჭირო დასკვნების გაკეთება გაწეული საქმიანობის გაკვეთილებიდან, სწორად შეაფასონ ჩატარებული მუშაობა, დასახონ მომავლების უკეთესი გეგმა. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური მეურნეობის წარმატებით გაძლოლისათვის საჭიროა ვიჩენდეთ საწარმოო ეკონომიკაში ჩაწვდომის უნარს, მუდამ უნდა ვხელმძღვანელობდეთ სახელმწიფოს ინტერესებით.

შვიდწლედის მეოთხე წელს რომ ვასრულებთ, უკვე ახლა გულმოდგინედ, ყოველმხრივ უნდა ვემზადებოდეთ ახალი — 1963 წლის დიდი დავალებების შესრულებისათვის.

„ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ, — ნათქვამია პარტიის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში, — ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲖᲣᲠᲑᲖᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲐᲦᲬᲔᲚᲔᲑᲓᲔᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲠᲜᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ“.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენება — უკრაინის კომუნისტური პარტიის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თანამშრომლობენ საბჭოთა ხალხების მრავალეროვანი ოჯახის მიღწევებზე.

გამოვიდა ბრძოლური „ჩვენი უფროსი ძმა“ (მოძმე რესპუბლიკებისადმი დიდი რუსი ხალხის დახმარების შესახებ), „საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარება“, „საბჭოთა ბელორუსია სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში“, „საბჭოთა ესტონეთის წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში“ და სხვები. ბროშურების მომზადებაში ჩაბმულია ავტორები მოძმე რესპუბლიკებიდან.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲐᲥᲝ, 6 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გახილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ი. ახუნდოვმა.

პლენუმის მონაწილეებმა სავსებით მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მიიღეს ისინი სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

გადაწყდა განახორციელონ რესპუბლიკის პარტიული ორგანოების რეორგანიზაცია თავიდან ბოლომდე, რასაც საფუძვლად უნდა დაუდონ საწარმოო პრინციპი.

სასოფლო რაიონებში იქმნება 32 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველო, რესპუბლიკაში იქმნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოების 26 პარტიული კომიტეტი, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარებიან აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. და სამ-სამი ასეთი პარტიული კომიტეტი ნახჩევნის ასს რესპუბლიკასა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში, რომლებიც დაექვემდებარებიან პარტიის შესაბამის საოლქო კომიტეტებს.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მშენებლობის საწარმოთა პარტიულ ხელმძღვანელობას განახორციელებენ პარტიის საქალაქო კომიტეტები ან ზონალური (ჯგუფური) სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტები.

პლენუმმა აირჩია აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი 7 წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით. დამტკიცდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროების შემადგენლობანი.

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ

ᲑᲐᲥᲝ, (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება უშვებს ბროშურების სერიას, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა ხალხების მრავალეროვანი ოჯახის მიღწევებზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). 1962-63 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან საშუალო სკოლების გამოსაშვებ კლასებში და ტექნიკუმების უფროს კურსებზე შემოღებულ იქნება ახალი სასწავლო საგანი „საზოგადოებათმეცნიერება“. ეს კურსი ამოცანად ისახავს შეაიარაღოს მოსწავლეები პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებით.

უაღრესად დიდია „საზოგადოებათმეცნიერების“ როლი იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩაენერგოთ კომუნისტური იდეურობა და მორალი. ახალი საგანი მოწოდებულია მარქსიზმ-ლენინიზმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების საფუძველზე ჩაუნერგოს სკოლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთ მეცნიერული მსოფლმხედველობა, შრომისადმი დიდი პატივისცემა.

ამ-ამად გამოვიდა „საზოგადოებათმეცნიერების“ სასწავლო პროგრამა და მეთოდური სახელმძღვანელოები. მომზადდა აგრეთვე ამ კურსის სახელმძღვანელო. მასწავლებლების, სასწავლებლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა უზრუნველყონ ახალი საგნის წარმატებით სწავლება.

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ“

— ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). „ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ“, — განაცხადა დღეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გუანდუნის განყოფილების დელეგაციის ხელმძღვანელმა ლი ძია-ᲫᲔᲜᲛᲐ. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარესთან ა. ა. ანდრეევთან შეხვედრის დროს სტუმრებმა ილაპარაკეს შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მიიღეს საბჭოთა დედაქალაქის ცხოვრების გაცნობისა და საქართველოში მოგზაურობის შედეგად.

— ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც დიდი გულთბილობით გვხვდებოდნენ, — თქვა ლი ძია-ᲫᲔᲜᲛᲐ. — ჩვენ გვჭონდა ბევრი გულთბილი, გულითადი შეხვედრა, რომლებიც მოწმობენ, რომ საბჭოთა ადამიანები ძმური მეგობრობის ღრმა გრძნობით ეკიდებიან ჩინელ ხალხს, საბჭოთა ხალხი ყველაზე მახლობელ ძმად მიგვაჩნია.

საუბრის დროს ა. ა. ანდრეევმა ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მუშაობის შედეგებზე, იმაზე, თუ რა გეგმები აქვს საბჭოთა ხალხს, რომ კვლავ განვითაროს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

თავის მხრივ ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გუანდუნის პროვინციის მაგალითით ცხადყო, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა. ამ პროვინციაში განვითარდა მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, მსუბუქი მრეწველობა, აშენდა რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური.

ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ ჩინეთის მთავრობის ბრძანებით ჩინელ მესაზღვრეთა ქვედანაყოფმა ტიბეტში 1 დეკემბერს დაიწყო უკან დახევა საზღვრ გზატკეცილით ინოოლის უღელტეხილიდან, რომელიც 50 კილომეტრზე მდებარეობს ბომდილის სამხრეთით, ჩინე

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲨᲘ

ᲐᲠᲐ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲠᲣᲜᲕᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სოფლის მშრომელები ყოველწლიურად დიდ წარმატებას აღწევენ. მიმდინარე წელიც სახალხო მეურნეობის ადნიშნეს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა. მეჩაიეებმა იერიშით აიღეს შვიდწლედის ზღუდე, მევენახეებმა ჯერ არნახულ გამარჯვებას მიაღწიეს. წარმატებებია მოპოვებული სხვა დარგებშიც.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, „ჩაისათვის საბჭოთა ადამიანები მადლობას გიძღვნიან, ამხანაგო ქართველებო, ამისათვის კი, რომ ხორცის წარმოების შვიდწლედის პირველი სამი წლის დავალება შესრულებულია 85 პროცენტით და რძისა — 74 პროცენტით, არა მგონია ვინმემ მადლობა გითხრათ წარმოების ასეთი დონისათვის“. შვიდწლედის მეოთხე წელსაც კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა. წარმოების დონე დაბალია. დამზადების გეგმები ძირითად სახეებში სრულდება, მაგრამ სიმარცლე უნდა ითქვას, რომ ყოველ 100 ჰექტარზე პროდუქტების წარმოების მხრივ საქმე ძალიან ცუდად არის.

ახლა ყველასათვის უბრალო ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სამუშაოთა მექანიზაცია არა მარტო ზრდის პროდუქტების წარმოებას, არამედ აიფებს და სახალისოს ხდის შრომას. სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგების მექანიზაციის გზით მიღწეულია ერთგვარი დადებითი შედეგები. მოწინავეთა გამოცდილებით დადგენილია, რომ იაფი პროდუქტების წარმოება და მეცხოველეობის რენტაბელობა სწორედ სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციაზეა დამოკიდებული.

ხშირად გაიგონებთ საყვედურს, მეცხოველეობაში და განსაკუთრებით მეძროხეობაში რენტაბელობის მიღწევა ძნელია, თითქმის შეუძლებელიაო. ჩვენ კი ამ ურწმუნოებს შეგვიძლია დავუმტკიცოთ, რომ ისინი ცდებიან. სადაც კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით მოპყავთ პირუტყვის იაფი საკვები, ხოლო მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოები მექანიზებულია, იქ მეურნეობებში მეცხოველეობა რენტაბელურია.

მეცხოველეობაში სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის საქმეს შეუნელებელი ყურადღება ექცევა. ჯერ კიდევ შარშან წლის ბოლოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის გაუმჯობესების შესახებ. დაისახა გეგმა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეძროხეობის ფერმებში საკვების მიწოდება, დარწყულება და წველა მექანიზებული ყოფილიყო. ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, თანამედროვე შესაძლებლობებს, ახალ მანქანებს, დანადგარებს ვერ იყენებენ. ბევრი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ტექნიკის გამოყენებას.

ამის შედეგად საზოგადოებრივ მეცხოველეობაში შრომის ნაყოფიერება ვერ მაღლდება, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება დიდია.

მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმე კარგად არის დაყენებული საწარმოო სამმართველოში და საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტში. იმ ფერმებში, სადაც სამუშაოები მექანიზებულია, ნაყოფიერება მაღალია, ᲗᲐᲛᲐᲨᲘ პროდუქციის თვითღირებულება მცირეა.

მაგრამ ყველგან ასე როდია.

ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს არც ერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მეძროხეობის ფერმაში არ არის დანერგილი ელექტროწველა. მიმდინარე წელს ერთი კოლმეურნეობისა და ერთი საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის ფერმებში უნდა მოწყობილიყო კომპლექსური ელექტრომექანიზაცია, მაგრამ რატომღაც ეს არ მოხდა. სამმართველოს ხელმძღვანელები აცხადებენ, „საქსოფლტექნიკამ“ საჭირო აგრეგატებით ვერ მოგვამარაგო.

მიმდინარე წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 600 ძროხა უნდა გადაეყვანათ ელექტროწველაზე. საამისოდ ოლქში შეიტანეს „უდს-1“ ტიპის 9 საწველი დანადგარი. აქედან ორი თამარაშენის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ შენის. ერთი დაამონტაჟეს, მაგრამ არ მუშაობს, ხოლო მეორის დამონტაჟება არც კი დაუწყიათ. 7 საწველი დანადგარი კი „საქსოფლტექნიკის“ საოლქო განყოფილების საწყობებში ელის პატრონს.

სამტრედიის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში მეცხოველეობა თითქმის ყველგან არარენტაბელურია. პროდუქციის თვითღირებულება მაღალია და, რა თქმა უნდა, მეცხოველეობა ზარალიანია. ზარალიანობა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ პირუტყვის საკვების წარმოებაში ნაკლებად იყენებენ ტექნიკას, ხოლო კომპლექსურ მექანიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამმართველოს მეცხოველეობის ფერმებშიც ნაკლები ყურადღება ექცევა მექანიზაციას. წელს სამმართველოს ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა უნდა გადაეყვანათ კომპლექსურ მექანიზაციაზე. საამისოდ ღანირის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის 100-სულიან მეძროხეობის ფერმაში დაიწყეს მუშაობა, მაგრამ აქ-მხოლოდ ავტომატური სარწყულებლების დამონტაჟება მოახერხეს. საწველი აგრეგატი, ნაკელის გასატანი ავტომატური ხაზი და საკვების დამჭუყმაცებელი მანქანები კვლავ დასამონტაჟებელია.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ჯურუყვეთის მესიმინდეებმა წელს 130 ჰექტარზე სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანეს. ჰექტარზე ნაცვლად 30 ცენტნერისა მიიღეს 38 ცენტნერი სიმინდი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. აფხაზავა (მარცხნივ) და ამავე კოლმეურნეობის მემანდარე ი. ჭყონია ამოწმებენ სიმინდის ხარისხს.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).



ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალ-ახალი შრომითი წარმატებისაკენ მოუწოდებს საბჭოთა ხალხს. ჩვენი ქარხნის წინაშეც დიდი ამოცანებია დასახული მიმდინარე შვიდწლედში. 1965 წლისათვის ქარხანამ რამდენჯერმე უნდა გაადიდოს საკაბელო წარმოება, აითვისოს და სერიულად დენერგოს რამდენიმე ახალი სახის კაბელის წარმოება, სრულყოს ტექნოლოგიური ციკლი, მოახდინოს წარმოების ჯერ კიდევ არამექანიზებული უბნების სრული მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განელილი წლები ამ ამოცანების წარმატებით გადაკრის რეალური მაჩვენებელია. ქარხანამ გასული წელი არაუოდეს ისე ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა.

ძიმდინარე წელი ასევე არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა ქარხნისათვის. ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ფართოდ გატარებით ქარხანამ წელს 10 თვის საწარმოო დავალება 105,2 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას მისცა რამდენიმე ასეული კილომეტრი სიგრძის ზეგენგმითი სადენები. ნაცვლად 56,7 ათასი მანეთი მოგებისა ამ პერიოდში მიღებულია 128,5 ათასი მანეთი მოგება, დაინერგა 7 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა შედეგად მიღებული საშუალო წლიური პირობითი ეკონომია 9,8 ათასი მანეთია, ათვისებულ იქნა კიდევ ორი ახალი სახის კაბელი, რომლის სერიული წარმოება წარმატებით მიმდინარეობს. დაზოგილ იქნა მეტად დეფიციტური თერმოპლატიკური საიზოლაციო მასალები, ვადაზე ადრე შესრულდა ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებებიც. კერძოდ, ათვისებულ იქნა ერთ მილიმეტრზე ნაკლები დიამეტრის მჭნე ალუმინის ადიდვა-მიღება, ხოლო თბილისის ელექტროტექნიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ახალი ტექნოლოგიით გამოშვებულ იქნა ორი სახის სადენის საცდელი ნიმუშები.

ქართული კაბელის მარკით ჩვენმა გამოშვებულმა პროდუქციამ საკმაო აღიარება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. ქარხანას თავისი არსებობის დღიდან არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

ქარხნის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს რესპუბლიკაში კაბელის წარმოების პიონერებს ინჟინრებს რ. კარანაძეს, რ. ჯუღელს, ზ. თუთბერიძეს, ვ. პირველაშვილს, ზ. კახნიაშვილს; ოსტატებს თ. შალამბერიძეს, კ. ებანოიძეს, ბ. ლეჟავას, ა. ლიბრაძეს, პ. ლომიძეს; წარმოების მოწინავეებს მუშებს თ. ბუხნიკაშვილს, მ. ბლავიძეს, მ. ნებიერიძეს, ლ. ნასარიძეს, ჯ. გეწაძეს, ლ. შარავაძეს, ზ. ᲭᲘᲛᲘᲜᲘᲫᲔᲡ, ბ. ᲑᲣᲠᲘᲫᲔᲡ, ფ. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ, Გ. ᲡᲣᲥᲜᲘᲫᲔᲡ, ნ. ᲙᲐᲛᲔᲚᲐᲫᲔᲡ, Ე. ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔᲡ, Დ. ᲞᲐᲠᲤᲔᲜᲝᲕᲘᲡ და სხვებს, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ ქარხანაში და წარმატებით დაეუფლნენ რესპუბლიკისათვის სრულიად ახალ, საკაბელო წარმოების საქმეს.

წელს მეოთხე კვარტალში ქარხანამ კიდევ ერთი მეტად საჭირო და დეფიციტური რადიოსიხშირის კაბელის გამოშვება უნდა აითვისოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქარხანა ჯერ კიდევ გაინიცდის ამ კაბელისათვის მეტად საჭირო თერმოპლასტიკური მასალების ნაკლებობას. და თუ მომავლისათვის ამ მასალების შემოზიდვა კვლავ შეფერხდა, ქარხანას დიდად გაუჭირდება 1963 წლისათვის კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების გადადება. სულ 1963 წლისათვის კაპიტალური დაბანდება 225 ათას მანეთს შეადგენს. მათ შორის სამშენებლო სამუშაოებზე 100 ათასი მანეთია გათვალისწინებული, რაც იმდენადვე ჭერ დაკმაყოფილებულ ქარხნის მომავალ გეგმურ მოცულობებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1963 წლისათვის შესაძლებელია რამდენიმე უნიკალური [illegible] ათას მანეთზე მეტს შეადგენს.

მეტად დროულია ქ. ზესტაფონში საკონტეინერო სადგურის აშენება. ქარხანა ამჟამად თავისი წარმოების პროდუქციის 50-70 პროცენტს კონტეინერებით გზავნის, ქუთაისის საკონტეინერო სადგური კი 45 კილომეტრით არის დაშორებული ქარხანას. ქარხანა ყოველდღიურად 4-5 კონტეინერს გზავნის და ამდენსავე იღებს, რაც მნიშვნელოვან ხარჯებს იწვევს და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

ეს საკითხი არაერთგზის იქნა დაყენებული ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ სხვადასხვა მოტივებით დღემდე საკითხი პრაქტიკულად არ გადაწყვეტილა. ზესტაფონში საკონტეინერო სადგურის შექმნა შესაძლებელია განტვირთოდეს ქუთაისისა და სამტრედიის საკონტეინერო სადგურების მუშაობას, ხოლო ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, სარჩერის და ორჯონიკიძის რაიონებში არსებული საწარმო-დაწესებულებები საგრძნობლად შეამცირებდნენ ამ უნაყოფო ხარჯებს.

ხერხიოზულ უურადღებას მოითხოვს სპბინათა-კომუნალური მშენებლობაც. ახალ შვიდწლედში საგრძნობლად გაიზრდება ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. იმისათვის, რომ ბინებით დავაკმაყოფილოთ მუშა-მოსამსახურენი, საჭირო იქნება 1963 წელს აშენდეს 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლისთვისაც ტერიტორია და საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია უკვე გაფორმების სტადიაშია.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულს არ დასჯერდება და ყველაფერს გააკეთებს, რათა ტექნოლოგიური ციკლის უფრო სრულყოფით, წარმოების შემდგომი მექანიზაციით და ავტომატიზაციით წარმატებით შეასრულოს საწარმოო დავალება.

Დ. ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ,
ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ მთავარი ინჟინერი.

ᲛᲔᲙᲐᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალ-ახალი შრომითი წარმატებისაკენ მოუწოდებს საბჭოთა ხალხს. ჩვენი ქარხნის წინაშეც დიდი ამოცანებია დასახული მიმდინარე შვიდწლედში. 1965 წლისათვის ქარხანამ რამდენჯერმე უნდა გაადიდოს საკაბელო წარმოება, აითვისოს და სერიულად დენერგოს რამდენიმე ახალი სახის კაბელის წარმოება, სრულყოს ტექნოლოგიური ციკლი, მოახდინოს წარმოების ჯერ კიდევ არამექანიზებული უბნების სრული მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განელილი წლები ამ ამოცანების წარმატებით გადაკრის რეალური მაჩვენებელია. ქარხანამ გასული წელი არაუოდეს ისე ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა.

ძიმდინარე წელი ასევე არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა ქარხნისათვის. ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ფართოდ გატარებით ქარხანამ წელს 10 თვის საწარმოო დავალება 105,2 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას მისცა რამდენიმე ასეული კილომეტრი სიგრძის ზეგენგმითი სადენები. ნაცვლად 56,7 ათასი მანეთი მოგებისა ამ პერიოდში მიღებულია 128,5 ათასი მანეთი მოგება, დაინერგა 7 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა შედეგად მიღებული საშუალო წლიური პირობითი ეკონომია 9,8 ათასი მანეთია, ათვისებულ იქნა კიდევ ორი ახალი სახის კაბელი, რომლის სერიული წარმოება წარმატებით მიმდინარეობს. დაზოგილ იქნა მეტად დეფიციტური თერმოპლატიკური საიზოლაციო მასალები, ვადაზე ადრე შესრულდა ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებებიც. კერძოდ, ათვისებულ იქნა ერთ მილიმეტრზე ნაკლები დიამეტრის მჭნე ალუმინის ადიდვა-მიღება, ხოლო თბილისის ელექტროტექნიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ახალი ტექნოლოგიით გამოშვებულ იქნა ორი სახის სადენის საცდელი ნიმუშები.

ქართული კაბელის მარკით ჩვენმა გამოშვებულმა პროდუქციამ საკმაო აღიარება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. ქარხანას თავისი არსებობის დღიდან არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

ქარხნის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს რესპუბლიკაში კაბელის წარმოების პიონერებს ინჟინრებს რ. კარანაძეს, რ. ჯუღელს, ზ. თუთბერიძეს, ვ. პირველაშვილს, ზ. კახნიაშვილს; ოსტატებს თ. შალამბერიძეს, კ. ებანოიძეს, ბ. ლეჟავას, ა. ლიბრაძეს, პ. ლომიძეს; წარმოების მოწინავეებს მუშებს თ. ბუხნიკაშვილს, მ. ბლავიძეს, მ. ნებიერიძეს, ლ. ნასარიძეს, ჯ. გეწაძეს, ლ. შარავაძეს, ზ. ᲭᲘᲛᲘᲜᲘᲫᲔᲡ, ᲑᲣᲠᲘᲫᲔᲡ, ᲤᲐᲠᲤᲔᲜᲝᲕᲘᲡ, ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲫᲔᲡ, ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲠᲤᲔᲜᲝᲕᲘᲡ და სხვებს, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ ქარხანაში და წარმატებით დაეუფლნენ რესპუბლიკისათვის სრულიად ახალ, საკაბელო წარმოების საქმეს.

წელს მეოთხე კვარტალში ქარხანამ კიდევ ერთი მეტად საჭირო და დეფიციტური რადიოსიხშირის კაბელის გამოშვება უნდა აითვისოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქარხანა ჯერ კიდევ გაინიცდის ამ კაბელისათვის მეტად საჭირო თერმოპლასტიკური მასალების ნაკლებობას. და თუ მომავლისათვის ამ მასალების შემოზიდვა კვლავ შეფერხდა, ქარხანას დიდად გაუჭირდება დარჩენილ თვე ბში უზრუნველყოს წლიური გეგმის შესრულება ამ პროდუქციაზე. აუცილებლად დაგვჭირდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს „მომარაგების და გასაღების მთავარი სამმართველოს დახმარება. ქარხნის გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი კიდევ უფრო გაიზრდება, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია № 2 საწარმოო კორპუსის აგება და ამუშავება. საჭიროა ასევე მთლიანად 1963 წლისათვის დამთავრდეს ყველა საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობა (წყალსადენი, კანალიზაცია, სათბობი ქსელი).

ამჟამად არსებული წყლის მეურნეობა და ორთქლით მომარაგება საშუალოდაც ვერ აკმაყოფილებს ქარხნის ყოველდღიურ მოთხოვნილებას. მიუხედავად სახალხო მეურნეობის საბჭოს არაერთგზის ჩარევისა, მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობს ფეროშენადნობთა ქარხნის საქვაბის მშენებლობა. ჩვენი ქარხნისათვის დაგეგმილია ამ საქვაბიდან ტექნოლოგიურ-ტექნიკური ორთქლის მიღება. ეს საკითხი დაუყოვნებლივ მოწესრიგებას მოითხოვს.

ასევე მეტად საჭიროდ მიგვაჩნია ხოლო ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, სარჩერის და ორჯონიკიძის რაიონებში არსებული საწარმო-დაწესებულებები საგრძნობლად შეამცირებდნენ ამ უნაყოფო ხარჯებს.

ხერხიოზულ უურადღებას მოითხოვს სპბინათა-კომუნალური მშენებლობაც. ახალ შვიდწლედში საგრძნობლად გაიზრდება ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. იმისათვის, რომ ბინებით დავაკმაყოფილოთ მუშა-მოსამსახურენი, საჭირო იქნება 1963 წელს აშენდეს 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლისთვისაც ტერიტორია და საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია უკვე გაფორმების სტადიაშია.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულს არ დასჯერდება და ყველაფერს გააკეთებს, რათა ტექნოლოგიური ციკლის უფრო სრულყოფით, წარმოების შემდგომი მექანიზაციით და ავტომატიზაციით წარმატებით შეასრულოს საწარმოო დავალება.

Დ. ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ,
ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ მთავარი ინჟინერი.

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახალ-ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივში. ამ დღეებში კიდევ უფრო გაძლიერდა მუშობის ტემპი და ახალ წარმატებას მივაღწიეთ. 11 თვის დავალება ვადაზე ადრე გავასრულეთ, გეგმის გადამეტებით 9 მილიონი პაპიროსი გამოვუშვათ.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, იჟენერ-ტექნიკოსები გულმოდგინედ სწავლობენ პლენუმის მასალებს, სულ ახალ და ახალ წინადადებებს აყენებენ დიდ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მრეწველობის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის მსმენელმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ჩერქმამ წინადადება შემოიტანა ტრესტ „საქთამბაქომ“ თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკის მექანიკური სახელოსნოს ბაზაზე შექმნას ძლიერი სახელოსნო, რომელიც მომსახურებას გაუწევს საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებს, საფერმენტაციო ქარხნებს და მომარაგებს სათადარიგო ნაწილებით. ეს ნამდვილად გონივრული წინადადებაა.

ამდენ ხანს ჩვენი ფაბრიკა სათადარიგო ნაწილებს კრემენჩუგის თამბაქოს ფაბრიკადან, ლენინგრადის ლენინის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნიდან და სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური მექანიკური სახელოსნოებიდან იღებდა. ფაბრიკის კოლექტივს არ ახსოვს, რომ აღნიშნულ ქარხნებს დროულად და ხარისხიანი ნაწილები მოეწოდებინოთ.

ფაბრიკაში ჯერ კიდევ ბევრია მოძველებული ტექნიკა. მაგალითად, სამსრე ქაღალდის დამჭრელი „საქთამბაქომ“ თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკის მექანიკური სახელოსნოს ბაზაზე შექმნას ძლიერი სახელოსნო, რომელიც მომსახურებას გაუწევს საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებს, საფერმენტაციო ქარხნებს და მომარაგებს სათადარიგო ნაწილებით. ეს ნამდვილად გონივრული წინადადებაა.

ამდენ ხანს ჩვენი ფაბრიკა სათადარიგო ნაწილებს კრემენჩუგის თამბაქოს ფაბრიკადან, ლენინგრადის ლენინის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნიდან და სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური მექანიკური სახელოსნოებიდან იღებდა. ფაბრიკის კოლექტივს არ ახსოვს, რომ აღნიშნულ ქარხნებს დროულად და ხარისხიანი ნაწილები მოეწოდებინოთ.

ფაბრიკაში ჯერ კიდევ ბევრია მოძველებული ტექნიკა. მაგალითად, სამსრე ქაღალდის დამჭრელი მანქანა ვერ აკმაყოფილებს ჩვენს დღევანდელ მოთხოვნილებას. გათვალისწინებულ ი ა 1963 წელს პროდუქციის გამოშვება გაიზარდოს 12-16 პროცენტით, იმ მიზნით, რომ ახალი წლიდან გამართულად შეუდგეთ მუშაობას, წლის ბოლომდე დავდგამთ და ავითვისებთ ყუთების დამამზადებელ ახალ მანქანას და მაღალ წარმადობის 10 საჰილზე ავტომატს. გამოანგარიშებულია, რომ ამ მანქანების მწყობრში ჩაყენების შემდეგ ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერება 12 პროცენტით გაიზრდება და პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდება.

იმისათვის, რომ სრულყოფილ წარმოების მართვა, აღირჩიეთ საწარმოო კომიტეტი, რომელიც გაერთიანებული არიან წარმოების მოწინავე ადამიანები.

Შ. ᲒᲐᲒᲘᲡᲝᲜᲘᲐ,
სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲣᲣᲙᲣᲠᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

„კომუნისტში“ სათაურით — „შუქურები ჩრდილში“ — დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებასა“ და სოფელ იმირ-ასანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ცუდად იყო დაყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შუქურათა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების საქმე.

პარტიის ბოლნისის რაიკომის ინსტრუქტორები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგის ინსტრუქტორი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შუქურათა მოწინავე გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას.

ეს საკითხი განხილულ იქნა საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის ბიუროს სხდომაზე და ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მუშაკთა თათბირზე.

სოფელ იმირ-ასანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ გამგეობებსა და პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვას, ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევებს.

ინსპექტორ-ორგანიზატორებსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგის ინსტრუქტორს დაევალათ მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შუქურათა მოწინავე გამოცდილების გავრცელება და დანერგვა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, უზრუნველყონ ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელი ამაღლება.

ამჟამად კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ და კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ფოტოგამოფენები და სტენდები, სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთები და საველე ფურცლები.

კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდა 4.000 ცენტნერი ყურძენი და მიჰყიდის 400 ცენტნერ თამბაქოს ნედლეულს. მიმდინარეობს ვაზის და ხეხილის ახალი სანერგეების გაშენება, ვენახების დამუშავება, თამბაქოს ნედლეულის დახარისხება და სხვ.

Ა. ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ,
ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული სამმართველოს უფროსი.

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ

ᲡᲐᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ?

1960 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. სოფელ მუხურჩაში კოლმეურნეთა კრება იყო მოწვეული. კრების დაწყებამდე კოლმეურნეებს ცხარე საუბარი გაემართათ.

— ამბობენ, ახალი თავმჯდომარე მოდიოსო, — თქვა ერთმა ჯალარაშერეულმა კაცმა.

— უნდა ავირჩიოთ, ეგებ გვეშველოს რამე, — შეესიტყვა მეორე.

— რა ვიცი ძმაო, — ჩაერია საუბარში მესამე. — თავმჯდომარეები, ხელმძღვანელები მოდიან და მიდიან, კოლმეურნეობა კი ჩამორჩენას თავს ვერ აღწევს. კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა ხომ მართლაც კარგად შრომობს. შრომადღეები ბლომად არის აღრიცხული. მაგრამ გასანაწილებელი არაფერი ჩანს...

— ენახოთ, რას იზამს ახალი თავმჯდომარე. ყველა ხომ უუნარო არ იქნება, — თქვეს კოლმეურნეებმა.

კრება დაიწყო. წინა წლის მუშაობის შედეგები განიხილეს. იმსჯელეს ჩამორჩენის მიზეზებზე, დასახეს ღონისძიებანი, ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე.

კოლმეურნეთა კრებას წარუდგინეს თავმჯდომარედ ასარჩევად რეკომენდებული ჭ. ფოჩხუა. მას დიდი ქება შეასხეს, მოუწონეს უნარი, მოხერხება, სინდისი!..

— სწორედ ასეთი კაცია საჭირო. მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. აფხაზეთში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა. თანასოფლელია, გვერდში ამოვუდგებით, — თქვეს კოლმეურნეებმა და ჭ. ფოჩხუა თავიანთ მეთაურად აირჩიეს.

ახალმა თავმჯდომარემ მუშაობა ერთგვარი გამოცოცხლებით დაიწყო. 1960 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეებს ეგონათ, რომ თავმჯდომარე გაამართლებდა მათს იმედებს. ეს მათ შთააგონა იმან, რომ კოლმეურნეობამ შეიძინა ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები. საკოლმეურნეო მინდვრებზე აგუგუნდნენ „რკინის ხარები“. შესრულდა ჩაის კრეფის გეგმა და 1960 სამეურნეო წელი შედარებით კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს.

ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მუხურჩის კოლმეურნეობა და მისი თავმჯდომარე ჭ. ფოჩხუა გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებს შორის ერთ-ერთ მოწინავედ ეღიარებინათ. ასე მიდიოდა დღეები და თვეები.

დამთავრდა 1961 წელი. მუდმივმა ქებამ და ტაშმა ეროგვარად გაანებივრა თავმჯდომარე, უფრო „ზევიდან“ დაიწყო გადმოხედვა. ადგილზე მიღებული სიგნალები და შენიშვნები, რომლებიც მისი მუშაობის ნაკლოვანებებს ეხებოდა, მაუდქვეშ ამოდეს. როგორც სოფელში ამბობდნენ

დიდი გულითადობა

ჩეხოსლოვაკიის კულტურის კვირეული საქართველოში

ამ დღეებში თბილისსა და ბათუმში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული ერთთვიურის აღსანიშნავად ეწყობა ჩეხოსლოვაკიის კულტურის კვირეული. კულტურის კვირეული გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა მოხსენებები, ლექციები, საუბრები ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა თვალსაჩინო წარმატებების შესახებ სოციალისტურ მშენებლობაში. კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიელ მწერალთა ნაწარმოებების გამოფენა.

ჩეხოსლოვაკიელ ლიტერატორთა შეხვედრება დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში. მწერალთა მთელი რიგი ნაწარმოებნი თარგმნილია ქართულ ენაზე. დიდი ტირაჟით გამოცემულია კარელ ჩაპეკის მოთხრობების კრებული, იან დრდას „წითელი თორტიზა", რომელშიც ასახულია ჩეხოსლოვაკიელი და ქართველი ხალხის მეგობრობა, იულიუს ფუჩიკის „რეპორტაჟი სახრჩობელიდან", ტ. სვატოპლუკის რომანი „ბოტოშენი", ჯ. ერგენის ჩეხური ხალხური ზღაპრები, ა. ირასეკის ძველი ჩეხური ანდაზების კრებული და სხვ.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში მოწყობილია ჩეხოსლოვაკიელ მხატვართა ნაწარმოებების რეპროდუქციების გამოფენა. მეგობრულ ქვეყანას მიუძღვნა თავისი გადაცემები საქართველოს რადიომ. თბილისის ეანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა მოამზადეს ჩეხოსლოვაკიელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან შემდგარი საკონცერტო პროგრამა.

დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების აქტივისტთა შეხვედრამ ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიელ ინტელიგენციის ჯგუფის წარმომადგენლებთან. გაუზიარა რა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებანი ერთ-ერთმა სტუმარმა — პრატისლავის რადიოს პოლიტიკურ გადაცემათა მთავარმა რედაქტორმა იოზეფ ვაიზერმა, საქართველოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. ამ ერთთვიურთან დაკავშირებით ჩვენ ჩამოვედით თქვენთან, რათა საქართველოს მშრომელებს გადავცეთ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სალამი. ჩვენს შორის არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — მუშები, ექიმები, მსახიობები, მხატვრები. ბევრი მათგანი საქართველოში პირველად არის, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ თქვენს რესპუბლიკას. დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენთან შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ჩვენ ენაზე ბარგმნა საქართველოს მეგობარმა იარომირ ედლიჩკამ. ჩვენში იცნობენ აგრეთვე რეჟისორ ნ. სანიშვილის ფილმს „შეწყვეტილ სიმღერას", რომელიც შექმნილია ჩეხოსლოვაკიელ კინემატოგრაფისტებთან ერთად. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას მიუძღვნეს ჩვენმა მწერლებმა, მოქანდაკეებმა, მხატვრებმა თავიანთი ბევრი ნაწარმოები. ეს ნაწარმოებები შექმნილია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XII ყრილობის აღსანიშნავად.

მე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო იმ გულთბილ მიღებას, რომელიც ჩვენ ზოგვიწყეს თბილისში და კერძოდ, მარიამ გრიგოლის ასულ გაგუას ოჯახში. მ. გაგუა ქვრივია საქართველოს მამაცი შვილის ბრატისლავის საპატიო მოქალაქის ვასილ გრიგოლის-ძე გაგუასი, რომელიც ჰამაცთა სიკვდილით დაეცა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ვასილ გრიგოლის-ძე გაგუა დასაფლავებულია ბრატისლავაში სხვა დაღუპულ საბჭოთა მეომრებთან ერთად თვალსაჩინო ადგილას. ჩვენი შეხვედრა გაგუას ოჯახში განსაკუთრებით გულთბილი იყო.

დასასრულ მთელი ჩვენი ჯგუფის სახელით მე მინდა ვთქვა იმ აღტაცების შესახებ, რომელიც გამოიწვია ჩვენში თქვენი შესანიშნავი ქალაქის ნახვამ, მისი არქიტექტურის, ახალმშენებლობების, ადამიანების გაცნობამ. ჩვენ ყველგან გვხვდებოდნენ როგორც ღვიძლ ძმებს. ყოველივე ამისათვის, ჩვენი საბჭოთა მეგობრებო, დიდ მადლობას გიძღვნით! (საქდესი).

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲬᲔᲠᲡ...

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი), **პრეზიდენტ ტიტოს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, მიუხედავად ამ მოგზაურობის კერძო ხასიათისა, მოწმობს იუგოსლავიისა და სსრ კავშირის კარგ და მეგობრულ ურთიერთობას, წერს გაზეთი „კომუნისტი". მოგზაურობა დიდად შეუწყობს ხელს ამ ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას.**

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მტკიცდება სახელმწიფო ხელმძღვანელების კონტაქტებისა და ურთიერთ ვიზიტების შეოხებით, რომელთაგან ყველაზე დიდმნიშვნელოვანია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი იუგოსლავიაში. ეს ურთიერთობა ვითარდება ორი სახელმწიფოს პოლიტიკის ბევრი მსგავსი პოზიციის საფუძველზე.

პრეზიდენტ ტიტოს მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, ხაზგასმით აღნიშნავს „კომუნისტი", ადასტურებს უწინარეს ყოვლისა ამ ორ ქვეყანას შორის დამყარებულ სიახლოვეს და მეგობრობას. იგი მოასწავებს წვლილს ამ ქვეყნების უკეთეს ურთიერთგაგებაში, ახალი ნაბიჯია იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავების გზაზე.

ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ დიდი გზაც უნდა გკონდეს წინ. უცხო მხარეში მიმავალ კაცს არ მოგწყინდება.

ასე იყო ამჯერადაც. ჩქარი მატარებელი მიჰქროდა ბულგარეთისაკენ. მას მიჰყავდა საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა ჯგუფი. ამ ჯგუფში ჩვენც ვიყავით. გზაზე ჩვენთვის ყველაფერი ახალი იყო. პირველად ვნახეთ მოლდავეთის დედაქალაქი კიშინოვი, სასაზღვრო ქალაქი უნგენი, პირველად შევდგით ფეხი რუმინეთის მიწა-წყალზე, მოგვეწონა ელექტროშუქით გაჩირაღდნებული იასი, რომელმაც მოგვაგონა ჩვენი სასქემდელო პოეტის პესარიონ გაბაშვილის ცხოვრების უკანასკნელი დღეები და საფლავის ქვა, შევჩერდით ნავთობის ქალაქ პლოეშტში. აქედან თითქოს უკან ავიღეთ კურსი. გადავსერეთ დიდი სივრცე და ვეწვიეთ რუმინეთის დედაქალაქს — ბუქარესტს, შემდეგ სასაზღვრო ქალაქი გეორგიუ ნორდიც დავტოვეთ.

ჯერ კიდევ უნგენში შესვლამდე ჩვენმა ალტაელმა მეგობარმა კუპეში ბულგარელი ქალი შემოიყვანა.

— გაიცანით, ჩვენი თანამგზავრია, მშობლიურ ქალაქ სოფიაში მიდის, — გვითხრა მან და თავისი ადგილი დაუთმო.

ჩვენი ახალგაცნობილი თანამგზავრი თმაშეკერცხლილი ნელენა დოცენტია ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. გვიამბო თავის წარსულზე. ქმარი რუსი ჰყოლია, იგი სამამულო ომში დაღუპვია, ოჯახი დონბასში ჰქონიათ. ახლაც იქ ცხოვრობს შვილებთან.

— საბჭოთა კავშირი ჩემი მეორე სამშობლოა, — ამბობს ნელენა. — რა თქმა უნდა, მე იგი მიყვარს, მაგრამ მშობლიური ქვეყნის სიყვარული მაინც სხვა არის!.. — ამბობს ამას და თავს დაბლა ხრის, სახეზე სევდის ბინდი ეფინება.

— მერე და რატომ არ მიდიხართ საცხოვრებლად ბულგარეთში?

— მე სიამოვნებით წავიდოდი, არც არავინ მაკავებს, გზა ხსნილი მაქვს, მაგრამ შვილები?.. შვილები ვერ დავთანხმე. მათ საბჭოთა კავშირში ყოფნა ურჩევნიათ, მე კი მათი დატოვება არ შემიძლია. სხვა რომ არა იყოს, ბებია ვარ და შვილიშვილები შვილებზე მეტად მიყვარს.

ჩვენ ვისარგებლეთ ნელენას ენაწყლიანობით და იგი ბულგარული ენის მასწავლებლადაც გავიხადეთ, მისგან ბევრი რამ ვიგეგეთ ბულგარეთის შესახებ.

ეი მატარებელმა დაუოკებელი ქმენთა და ხმაურით გადალახა წყალუხვი, ცისფერი დუნაი, უკან მოვიტოვეთ ლამაზი და მტკიცედ ნაგები თვალუწვდენი ხიდი... ბულგარეთის მიწა-წყალზე ვართ.

— ზდრავეიტე, ბოლგარია!.. — ეესალმებით ბულგარეთს ნელენას ნასწავლები სიტყვებით. გამარჯობა. გაისმის ტაში, შეძახილები. მხიარული გამოცოცხლება.

ჩვენ ვიცინოდით, ვმხიარულობდით, ჩვენი ნელენა კი ბავშვური გატაცებით დაშტერებოდა მშობლიურ მიწას, მისი სახე მოხდენავებული სიხარულის ცრემლებს დაენამა.

— ჩემი ბულგარეთი, ჩემი მშობლიური მიწა! — ჩურჩულებს ნელენა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ქალაქი, რომელიც ბულგარეთში ვნახეთ, იყო რუსე. ხანგრძლივი შესვენება ამ ქალაქის სადგურში, გულთბილი მიღება, ვალუტის გადაცვლა და კვლავ საინტერესო გზა.

მიაბოლებს ორთქლმავალი (აქ რკინიგზა ელექტროფიცირებული არ არის) და ჩვენ მის მურსაც არ ვერიდებით, რომ ბევრი ვნახოთ, ბევრი აღვიქვათ. გულს ახარებს მდიდარი და ხატოვანი გზა, რომელიც ჩვენს თვალწინ სწრაფად იკეცება, დაბლობს მაღლობი ცვლის, მინდვრებს ხეობები, გორაკებს მთები და ყველაფერი ეს როგორ მახლობელია ჩვენთვის, ქართველი ჟურნალისტებისათვის.

— მეგობრებო, ეს მხარე საქართველოს ხომ არ მოგაგონებთ?! — მოგვმართავს ჩვენი თანამგზავრი, საადგილო „ნოვოსტის" რედაქტორი ილია ივანეს-ძე ერმაკოვი, და ჩვენც ვუდასტურებთ, რომ აქ მართლაც ბევრი რამ მოგვაგონებს ჩვენს მშობლიურ ქვეყანას.

რა დაგვიგეწყებს კარლუკოვის მომხიბლავ მიდამოებს. პირობდებიანი აღმართულ სიმი ქვების გორაკებსა და ცაღაზიდულ მთებს, მდინარე ისკირის თვალწარმტაც ხეობას, ოქროს მტევნებით დახუნძლულ ვენახებს, საგულდაგულოდ მოვლილ, თეთრად შეწამლულ ნარგავებს, ბაღებს, ჩამწკრივებულ და მომოფანტულ კაკლის ხეებს...

კარლუკოვოდან სოფიამდის ოცი გვირაბი გავიარეთ და, ბოლოს, ღამით ვეწვიეთ სანატრელ ქალაქს. აქ გამოვეშვიდობეთ ჩვენს ბულგარელ თანამგზავრს, მოკეთეებთან მხიარული დროს გატარება, ჯანსაღი დასვენება და დონბასში კეთილი დაბრუნება ვუსურვეთ.

სოფიაში გულღიად მიგვიღო სასტუმრო „ბალკანმა", რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. მას თხუთმეტი ოროთახიანი, ხუთი სამოთახიანი და 170 ერთოთახიანი ნომერი აქვს. გარდა ამისა, აქ სტუმრებისათვის განკუთვნილია ორი რესტორანი, საშაქარლამო, სამანკეტო დარბაზი, მდიდრული ფოიე. სასტუმროს ფასტიანობა 40 მილიონი ლევი დამჯდარა (100 ლევი — 76,92 მანეთი).

სტუმრთმოყვარე დედაქალაქში ჩვენ ორი დღე დავრჩით. დავათვალიერეთ მისი კულტურის ძეგლები, მდიდარი ბაღები და პარკები, ფაბრიკები და ქარხნები, გავეცანით სოციალისტური მშენებლობით გართულ გმირულ ბიოლს.

ᲛᲔᲥᲝᲛᲓᲒᲠᲘᲡ სოციალისტურმა რევოლუციამ მომავლის გზა უჩვენა მსოფლიოს ხალხებს. ამ გზას გამდიდრო „ბალკანმა", რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. მას თხუთმეტი ოროთახიანი, ხუთი სამოთახიანი და 170 ერთოთახიანი ნომერი აქვს. გარდა ამისა, აქ სტუმრებისათვის განკუთვნილია ორი რესტორანი, საშაქარლამო, სამანკეტო დარბაზი, მდიდრული ფოიე. სასტუმროს ფასტიანობა 40 მილიონი ლევი დამჯდარა (100 ლევი — 76,92 მანეთი).

სტუმრთმოყვარე დედაქალაქში ჩვენ ორი დღე დავრჩით. დავათვალიერეთ მისი კულტურის ძეგლები, მდიდარი ბაღები და პარკები, ფაბრიკები და ქარხნები, გავეცანით სოციალისტური მშენებლობით გართულ გმირულ ბიოლს.



ᲠᲔᲠᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩვენ ვიცინოდით, ვმხიარულობდით, ჩვენი ნელენა კი ბავშვური გატაცებით დაშტერებოდა მშობლიურ მიწას, მისი სახე მოხდენავებული სიხარულის ცრემლებს დაენამა.

— ჩემი ბულგარეთი, ჩემი მშობლიური მიწა! — ჩურჩულებს ნელენა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ქალაქი, რომელიც ბულგარეთში ვნახეთ, იყო რუსე. ხანგრძლივი შესვენება ამ ქალაქის სადგურში, გულთბილი მიღება, ვალუტის გადაცვლა და კვლავ საინტერესო გზა.

მიაბოლებს ორთქლმავალი (აქ რკინიგზა ელექტროფიცირებული არ არის) და ჩვენ მის მურსაც არ ვერიდებით, რომ ბევრი ვნახოთ, ბევრი აღვიქვათ. გულს ახარებს მდიდარი და ხატოვანი გზა, რომელიც ჩვენს თვალწინ სწრაფად იკეცება, დაბლობს მაღლობი ცვლის, მინდვრებს ხეობები, გორაკებს მთები და ყველაფერი ეს როგორ მახლობელია ჩვენთვის, ქართველი ჟურნალისტებისათვის.

— მეგობრებო, ეს მხარე საქართველოს ხომ არ მოგაგონებთ?! — მოგვმართავს ჩვენი თანამგზავრი, საადგილო „ნოვოსტის" რედაქტორი ილია ივანეს-ძე ერმაკოვი, და ჩვენც ვუდასტურებთ, რომ აქ მართლაც ბევრი რამ მოგვაგონებს ჩვენს მშობლიურ ქვეყანას.

რა დაგვიგეწყებს კარლუკოვოს მომხიბლავ მიდამოებს. პირობდებიანი აღმართულ სიმი ქვების გორაკებსა და ცაღაზიდულ მთებს, მდინარე ისკირის თვალწარმტაც ხეობას, ოქროს მტევნებით დახუნძლულ ვენახებს, საგულდაგულოდ მოვლილ, თეთრად შეწამლულ ნარგავებს, ბაღებს, ჩამწკრივებულ და მომოფანტულ კაკლის ხეებს...

კარლუკოვოდან სოფიამდის ოცი გვირაბი გავიარეთ და, ბოლოს, ღამით ვეწვიეთ სანატრელ ქალაქს. აქ გამოვეშვიდობეთ ჩვენს ბულგარელ თანამგზავრს, მოკეთეებთან მხიარული დროს გატარება, ჯანსაღი დასვენება და დონბასში კეთილი დაბრუნება ვუსურვეთ.

სოფიაში გულღიად მიგვიღო სასტუმრო „ბალკანმა", რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. მას თხუთმეტი ოროთახიანი, ხუთი სამოთახიანი და 170 ერთოთახიანი ნომერი აქვს. გარდა ამისა, აქ სტუმრებისათვის განკუთვნილია ორი რესტორანი, საშაქარლამო, სამანკეტო დარბაზი, მდიდრული ფოიე. სასტუმროს ფასტიანობა 40 მილიონი ლევი დამჯდარა (100 ლევი — 76,92 მანეთი).

სტუმრთმოყვარე დედაქალაქში ჩვენ ორი დღე დავრჩით. დავათვალიერეთ მისი კულტურის ძეგლები, მდიდარი ბაღები და პარკები, ფაბრიკები და ქარხნები, გავეცანით სოციალისტური მშენებლობით გართულ გმირულ ბიოლს.

ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ

ᲠᲔᲠᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲜᲑᲝᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დღის პლენარულმა სხდომამ დაიწყო ანგოლის მდგომარეობის გაწხილვა. ასამბლეაზე წარდგენილია ქვეკომიტეტის მოხსენება ანგოლის მდგომარეობის შესახებ. ეს ქვეკომიტეტი გენერალურმა ასამბლეამ შექმნა 1961 წელს. მოხსენება შეიცავს მასალებს, რომლებიც მოწმობენ, რომ პორტუგალიის მთავრობას უარი არ უთქვამს იმ ცდაზე, რომ იარაღის ძალით იყოლიოს ანგოლის ხალხი კოლონიურ მონობაში. სალაზარის მთავრობამ უარყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა რეზოლუცია და რეკომენდაცია, რომლებიც მიზნად ისახავენ მშვიდობიანად მოწესრიგდეს ანგოლის საკითხი ანგოლისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საფუძველზე. ქვეკომიტეტმა დაადგინა ანგოლელი მოსახლეობისადმი სასტიკი მოპყრობის უმარავი შემთხვევა. ბევრი ანგოლელი ჩაყრილია საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში.

საღამოს სხდომაზე პირველს მიეცა სიტყვა პორტუგალიის წარმომადგენელს. სულ ცოტა ორი საათის განმავლობაში პორტუგალიის დელეგატი თხზავდა ჰორებს, თუ რა „კარგად" ცხოვრობენ ანგოლელი ხალხები სალაზარის უღელქვეშ.

ბევრმა დელეგატმა ვერ გაუძლო პორტუგალიის წარმომადგენლის ცინიკურ ლაყბობას და მისი გამოსვლის დროს დატოვა დარბაზი.

ანგოლის ხალხის დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლებების დასაცავად სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ბირმის, კამბოჯის, ლიბერიის დელეგატები.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეა გუშინდელ დღის პლენარულ სხდომაზე განაგრძობდა ანგოლაში არსებული მდგომარეობის განხილვას. გამოვიდნენ კონგოს (ლეოპოლდვილის), მავრიტანიის, გვინეის, რუმინეთის, ცეილონისა და ალჟირის დელეგატები, რომლებმაც ერთსულოვნად დაგმეს პორტუგალიის ხელისუფალთა ბოროტმოქმედებანი ანგოლაში და განაცხადეს, რომ შეუწყნარებელია ანგოლელი ხალხის განთავისუფლების საქმის შემდგომი გაჭიანურება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მეტად დაწვრილებით გაეცნო ანგოლის მდგომარეობას. ეს საკითხი ორჯერ განიხილა უშიშროების საბჭომ და ხუთჯერ გენერალურმა ასამბლეამ. რუმინეთის დელეგატმა ნიკოლაესკუმ განაცხადა, რომ ამჟამად უკვე საჭიროა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, მათ შორის სანქციები პორტუგალიის მთავრობის წინააღმდეგ, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ცეილონის დელეგატმა უმარსვამამ აღშფოთებით ილაპარაკა იმაზე, რომ პორტუგალიის მთავრობა უპასუხისმგებლოდ იქცევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. ჩვენ არ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, თუ გენერალური ასამბლეას მე-17 სესიამ არ მიიღო გადაწყვეტილებანი იმისათვის, რომ იხსნას ანგოლის ხალხი აუტანელი ტანჯვისაგან.

ცეილონის დელეგატმა აგრეთვე განაცხადა, რომ ზოგიერთი მთავრობა კვლავ აწვდის სალაზარს იარღსა და საომარ მასალას ამ ქვეყნების იარაღს, თქვა მან, აშკარად იყენებენ ანგოლის ხალხის დასათრგუნავად და ასაწიოკებლად.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი).

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐ

6 დეკემბრის დღის პლენარულ სხდომაზე გენერალური ასამბლეა განაგრძობდა ანგოლის მდგომარეობის განხილვას.

სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა წარმომადგენელი ესტონეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კ. გრენი. მან განაცხადა, რომ ანგოლაში მდგომარეობის საკითხი კვლავ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კოლონიური საკითხია. ის, თუ რა ღონისძიებები იქნება მიღებული შემდეგში, თქვა მან, განსაზღვრავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟსა და კოლონიური ხალხების დამოკიდებულებას ჩვენი ორგანიზაციისადმი. კოლონიურმა ომმა, რომელსაც პორტუგალელი კოლონიზატორები ეწევიან ანგოლის მოსახლეობის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა ა. კ. გრენმა, უკვე დიდი ხანია მიიღო აფრიკის მოსახლეობის გენოციდის, მასობრივი მოსპობის ხასიათი, მოსახლეობისა, რომელმაც გაბედა პროტესტი განეცხადებინა პორტუგალიელი კოლონიზატორების 500 წლის ბატონობის წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგატი დაწვრილებით შეეხო ნატოს ქვეყნების ფინანსურ და სამხედრო დახმარებას სალაზარის რეჟიმისადმი.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის დელეგატმა, რომ ანგოლის პრობლემის ერთადერთი სამართლიანი გადაჭრა შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ კოლონიური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა ანგოლაში და ის, რომ დაუყოვნებლივ მიენიჭა დამოუკიდებლობა ანგოლელ ხალხს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის შესაბამისად.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ნიგერიის, ინდოეთის, პაკისტანის, უნგრეთის, სენეგალის, ჩეხოსლოვაკიისა და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლები.

ᲙᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). დოკუმენტების, რომლებიც შეეხება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ, გუშინ გენერალური ასამბლეის XVII სესიის პოლიტიკური კომიტეტის ყურადღების ცენტრში იყო.

ჰოლანდიის წარმომადგენელმა შურმანმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა კოსმოსის კვლევაში ხელს შეუწყობს შეთანხმების დადებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ სხვა ქვეყნებიც დაინტერესებული არიან კოსმოსის ათვისებით და ამიტომ საშუალება უნდა მიეცეთ ითანამშრომლონ ამ დარგში.

პრინციპები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა წარუდგინეს კომიტეტს, ახალ ამედებს საჭიროებენ, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მაჰმუდ რიადმა.

ᲛᲢᲙᲘᲪᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). საბერძნეთის დედაქალაქს პოლიციის ხელისუფლებამ გუშინ დახურეს საბჭოთა წიგნის გამოფენა, რომელიც მოაწყო საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ. დღეს გაზეთებში მოთავსებულია ფოტოსურათები პოლიციელებისა, რომლებიც ფხიზლად დარაჯობენ საბჭოთა წიგნებს გამოფენის დახურვის დროს.

გაზეთები „ავგი" და „ელეფთერია" გმობენ საბერძნეთის ხელისუფალთა ამ მტრულ აქტს საბჭოთა კავშირის მიმართ. „ავგი" ხაზს უსვამს, რომ მაშინ, როცა საბერძნეთის ხელისუფლები ხელს უშლიან კულტურულ გაცვლას საბჭოთა კავშირთან, მათი წაყრუებით ათენში იმართება სხვადასხვა პროვოკაციული ანტისაბჭოთა გამოფენა.

ᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის შტატის კომისია იკვლევს ქალაქ სარაკუზის (ნიუ-იორკის შტატი) პოლიციელთა დანაშაულებრივ საქმიანობას, რომლებსაც ბრალად ედებათ, რომ ცნობილ აზარტულ მოთამაშეთა და სხვა დამნაშავეთა თანამზრახველები არიან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 6 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობაზე გრძელდება ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საგვიანო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. დელეგატები საქმიანად, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში უზიარებენ ერთმანეთს აზრს, თუ როგორ გადაჭრან უკეთ პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები, როგორ გაზარდონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

გულთბილად შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, მთავრობის თავჯდომარის ვ. შიროკის ტრიბუნაზე გამოჩენას. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ვ. შიროკიმ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ავტორიტეტი ეულ უფრო გაიზარდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩეხოსლოვაკიას კომუნისტური პარტიის XI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში. ეს ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა, თქვა მან, უწინარეს ყოვლისა იმის მეოხებით, რომ ვაძლიერებდით და ვაღრმავებდით ჩვენს გულწრფელ ძმურ კავშირს, თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან, მთლიანად ეუჭერდით მხარს მის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, იმის მეოხებით, რომ ჩეხოსლოვაკია აბორიგელებდა სოციალისტური ქვეყნების ერთიან ბანს, რომელიც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეჯიბრების პრინციპები.

ვ. შიროკიმ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXII ყრილობის დასკვნებს, დაგმო ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის დოგმატური და სექტანტური პოლიტიკა. ჩვენი პარტია, ხაზგასმით აღნიშნა მან, კვლავაც იქნის თანმიმდევრულად ლენინური გზით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ერთად.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

ᲜᲔᲠᲣᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 6 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთი უარს არ იტყვის თავის მშვიდობიანსა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე, განაცხადა გუშინ ბაუკატიში (ასამის შტატი) პრეს-კონფერენციაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელიც აქ საინსპექციო ვიზიტად იმყოფება. ინდოეთმა, თქვა ნერუმ, უნდა შეასრულოს სოციალურ და ეკონომიურ დანიშნულებები ინდოეთის დამოუკიდებლობა და განხორციელდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმები.

ნერუ შეეხო ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე შექმნილ ვითარებას და დაადასტურა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარები გაეყვანილია მთელი რიგი სასაზღვრო რაიონებიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადების შესაბამისად. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ ჩინეთის ჯარებმა დაიხიონ 1962 წლის 8 სექტემბერს არსებულ ხაზს იქით.

ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, გუშინ მარცხით დამთავრდა შეეთოებული შტატების ცდა გაეშვათ რაკეტა „ტიტანი-2", რომელიც ჰაერში აფეთქდა სტარტიდან ორი წუთისა და ათი წამის შემდეგ.

რამდენიმე საათით ადრე ასევე მარცხით დამთავრდა ახალი რაკეტის „პოლარის ა-3"-ის გაშვება. რაკეტა ასცდა კურსს და ააფეთქეს ჰაერში.

ᲥᲣᲠᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 5 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი **პარი ფრიმ

... და ხელოვნება

მუსიკა იპყრობს მრავალთა გულს

ქართულმა ხალხურმა სიმღერამ ადრევე მიიქცია საყოველთაო ყურადღება თავისი თვითმყოფი და მაღალმხატვრული ბუნებით. თუ წინათ ხალხური სიმღერა მცირერიცხოვან ენთუზიასტთა კვლევა-ძიების სფეროს შეადგენდა, ამჟამად იგი საყოველთაო ყურადღებით არის მოსილი. პროფესორები შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, შ. მშველიძე და მათი ახალგაზრდა მიმდევრები დიდი გულისხმიერებით ეწევიან ხალხური საუნჯის შეკრებას, ჩაწერას და გამოკვლევას.

ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, რომლის ფოლკლორულმა ექსპედიციებმა უნიკალური ფოლკლორული მასალა მოიპოვა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ოთხხმიანი ნაფერი — სიმღერები, რომლებიც ჩაწერა გურიის და აჭარას რაიონებში მუსიკათმცოდნე ვლადიმერ ახობაძის ექსპედიციამ.

აჭარის რაიონებში მოპოვებულ ხალხურ სიმღერებზე დაყრდნობით ვ. ახობაძემ გამოსცა მეცნიერული ნაშრომი „ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები", სადაც მოცემულია ვრცელი გამოკვლევა ქართულ ხალხურ სიმღერებში არსებულ ოთხხმიანობაზე 80 სიმღერის სახტო მაგალითით. კვლევათი ნაწილი ქართულ და რუსულ ენებზეა, ანოტაცია კი ინგლისურ ენაზე.

სსრ კულტურის სამანისტროსთან არსებული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პროფესორის ვ. ბელიაევის თხზვნით აღნიშნული ნაშრომი ქართული მუსიკალური ფოლკლორით დაინტერესებულ უცხოელ მუსიკოსებს გადაგზავნათ ოფლენბაში, გერმანიაში და ინგლისში. ხოლო თვით უცხოელ მუსიკათმცოდნეთა თხზვნით ნაშრომი გაიგზავნა საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში და ბულგარეთში.

ბერლინიდან ვ. ახობაძის სახელზე მოსულ წერილში მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის ინსტიტუტის დირექტორი ერიხ შტომანი გამოხატავს კრებულის მიღებით გამოწვეულ აღფრთოვანებას: „მე ძალიან მახარებს, რომ მაქვს ქართული ხალხური სიმღერების თქვენი ძვირფასი კრებული". ერიხ შტომანს განზრახული აქვს დაწეროს რეცენზია ამ კრებულზე ერთ-ერთი გერმანული ჟურნალისათვის, ხოლო 1963 წელს ჩამოვიდეს თბილისში და საფუძვლიანად გაეცნოს ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას, კერძოდ კი ოთხხმიან ხალხურ სიმღერას.

ლონდონის საერთაშორისო ხალხური მუსიკის საბჭოს მდივანი მაუდ კარპელესი იუწყება: „მივიღე თქვენი წიგნი ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერების შესახებ. ძალიან მოხარული ვარ, რომ წიგნი შევიძინე. ვიმედოვნებ, რომ შეეძლებთ ამ წიგნის განხილვას ჩვენი ჟურნალის მორიგ გამოშვებაში".

უცხოელ მკვლევართა ინტერესი ქართული ხალხური სიმღერის მიმართ ამით არ ამოწურება. მრავალი მათგანი ეწევა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას და ადგილზე გაეცნო ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერებს.

ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოშა სტუმრად იყვნენ პოლონელი მუსიკათმცოდნეები პროფ. ი. ხომინსკი და ქ. ვილკოვსკა. ისინი აღფრთოვანებულნი არიან ქართული ოთხხმიანი ნაფერების ვაცნობით. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ მათ გამოაქვეყნეს სტატია მუსიკის ისტორიის, თეორიისა და თეატრმცოდნეობისადმი მიძღვნილ პოლონურ ჟურნალ „მუსიკაში" (1960 წ. № 3) და აღნიშნეს, რომ ვ. ახობაძის ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები დიდ საგანძურს წარმოადგენს მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში. ქ. ვილკოვსკა გამოთქვამს სურვილს მიიღოს სპეციალიზაცია ქართული მუსიკის დარგში, რომ შექმნას სპეციალური გამოკვლევა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე. „დიდი სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ქართული ხალხური სიმღერების შეგროვებაში", დასძენს ვილკოვსკა.

1960 წელს პარიზში მოწვეულ იქნა მუსიკოს-ფოლკლორისტთა მსოფლიო კონგრესი, რომელთა მონაწილეებსაც პოლონელმა მუსიკათმცოდნეებმა გააცნეს ქართულ ხალხურ სასიმღერო ხელოვნებაში შემორჩენილი ოთხხმიანობის ნიმუშები, რამაც დიდი ინტერესი აღძრა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ხალხურ შრომის სიმღერებში დაცული ოთხხმიანობა მსოფლიოს მუსიკალურ ფოლკლორში განუმეორებელი ფაქტია.

ფრანგმა მუსიკათმცოდნემ ე. გრიმომ გადაწყვიტა სპეციალურად შეისწავლოს ეს საკითხი. ფრანგი მუსიკათმცოდნე დიდად გაუტაცია მდიდარ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. აი რას სწერს იგი ვ. ახობაძეს: „ნება მიბოძეთ გადმოგცეთ გულწრფელი მადლობა იმ ძვირფასი ნაშრომისათვის („ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები"), რომელიც თქვენ ყეთილინებეთ ჩემთვის გამოგეგზავნათ. ქალბატონ ვილკოვსკა-ხომინსკამ პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის საშუალებით მომაწოდა თქვენი აღრინდელი ნაშრომი „ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული", რომელიც ჩვენ ეხლახან გადავთარგმნეთ ფრანგულ ენაზე... დაკავშირებული ვარ ეროვნულ კვლევათ ცენტრთან და ვამზადებ სადიპლომო შრომას „ქართლისა და კახეთის ეოკალური პოლიფონიის პარალელური სტრუქტურების შესწავლა". როგორც ამ წერილიდან ირკვევა, გრიმოს უკვე დაუწყია ქართული ენის შესწავლა.

გასულ წელს თბილისში ქართული მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტს ეწვია პოლონელი მუსიკათმცოდნე მ. პილარსკი. მან საგანგებოდ შეისწავლა ქართული ხალხური სიმღერები, გაეცნო ამ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას და სამშობლოში დაბრუნებულმა პოლონურ ჟურნალ „მუსიკალურ ცნობარში" (ლოძის სახალხო მუსიკალური ინსტიტუტის ორგანო. 1961 წ. № 10) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც

პოლონელ მკითხველს აცნობს ქართულ კულტურას და ხელოვნებას, კერძოდ მუსიკალურ ფოლკლორს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს არც ერთ კვეყანაში ხალხურ სიმღერას არ მიუღწევია განვითარების ასეთი საფეხურისათვის. უსმენთ და გაოცებთ გამომსახველობით აღსავსე ნადერი სიმღერები".

ახლახან ვ. ახობაძემ ბუდაპეშტიდან მიიღო ქართულ ენაზე დაწერილი მ. იშტვანოვიჩის წერილი.

„მაპატიეთ, უცნობი რომ გახლავართ თქვენთვის და ხელს გიშლით ბარათით. მით უმეტეს, თხოვნითაც კი! ჟურნალ „ლიტერატურული აჰარიდან" გავიგე თქვენი ნაშრომის შესახებ" („ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები"). ვიანიდან ფოლკლორისტი ვარ და თბილისში დავამთავრე ასპირანტურა და ახლა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის დოცენტი ვარ ფოლკლორისტიკის კათედრაზე, თქვენი წიგნი დიდად მაინტერესებს... გთხოვთ, თუ ზედმეტი ეგზემპლარი გაქვთ კიდევ, გამომიგზავნოთ".

უცხოელთა აღტაცება ქართული ხალხური სიმღერით შემახვევინი არ არის. ეს უკანასკნელი სავსებით ღირსია ამ ყურადღებისა, და მით უფრო სასურველია ფართო ასპარეზი დაეთმოს ქართველი ხალხის ამ სულიერი საუნჯის კიდევ უფრო გულმოდგინე შესწავლას.

ო. ჩიჯავაძე,
მუსიკათმცოდნე.

სოჭი. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი 1.600-ზე მეტი სახეობის დეკორაციული ხე და ბუჩქია სოჭის პარკ „დენდრარიუმის" კოლექციაში. ამ პარკს ნოემბერში 70 წელი შეუსრულდა. სურათზე: ექსკურსანტები და ექსკურსიამძღოლი პ. ვ. ხვოსტანცევი „დენდრარიუმში".
ფოტო ი. **გრიგოროვისა.** (საკავშირო ფოტოკორონიკა).

სევანი გადარჩება

კლდოვანი მწვერვალებით შემოზღუდულ ქვიან ღრმულში ზღვის დონიდან 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს სომხეთის ტბა სევანი.

მაღაოლმთიან ტბათა შორის სიდიდით მას ბადალი არ მოეპოვება ჩვენს ქვეყანაში.

უხსოვარი დროიდან მიიპყრო სევანმა ადამიანის ყურადღება, მასში ხედავდნენ ელექტროენერგიის დაუშრობელ წყაროს, გვალვიანი მიწების მორწყვის საშუალებას. მაგრამ ტბას ადამიანები დაეუფლნენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. რაზდანზე — ეს ერთადერთი ჰიდროარეა, რომელიც ტბიდან გამოდის, — ააგეს მძლავრი ენერგეტიკული კასკადი ექვსი ჰიდროსადგურისაგან, რომელთა საერთო სიმძლავრემ 550 ათას კილოვატს გადააჭარბა. მაგრამ ამ სადგურთა ამენების შემდეგ ტბაში წყლის დონემ შესამჩნევად დაიკლო.

როგორ შევინარჩუნოთ წყალუხვი სევანი, სომხეთში წყლის ერთადერთი ბუნებრივი აუზი? პრობლემამ მრავალი მეცნიერი დაინტერესა. და აი იპოვნეს გადაწყვეტა: გაჭრან გვირაბი ღა მთის მდინარე არფის წყლის ნაწილი გადმოისროლონ ტბაში.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საპროექტო დავალება გვირაბის მშენებლობის შესახებ. რას მოუტანს ეს გვირაბი სევანს? ყოველწლიურად 270 მილიონ კუბური მეტრი წყალი გაავსებს ქვის თეფშს, მოაცდენს წყლის იმ დანახარჯის ნაწილობრივ კომპენსირებას, რომელიც საჭიროა სევან-რაზდანის კასკადის მუშაობისათვის.

აი კიდევ ერთი გაშოგონება, რომელიც მისი ავტორების — სომეხ და ლენინგრადელ მეცნიერთა აზრით ხელს შეუწყობს ბუნებრივ დონეზე წყლის შენარჩუნებას. ეს არის თხელი სინთეზური ქსოვილი. ამ ქსოვილით დაიფარება ტბის ზედანაპირი, რომ არ მოხდეს წყლის აორთქლება. გარდა ამისა, მაღალმთიან რაიონებში ქმნიან რამდენიმე დიდ წყალსაცავს, ამუშავებენ მორწყვისათვის წყალქვაშა წყლების გამოყენების პრობლემას.

— სომხეთის ჰიდრომშენებლები, — თქვა საგაზეთო „ახალი ამბების" კორესპონდენტთან საუბარში რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობათა უფროსმა ვაზრიკ სეკოიანმა, — უკვე შეუდგნენ გვირაბის მშენებლობას. მისი სიგრძე 50 კილომეტრია.

გამყვანები მუშაობას შეუდგებიან ორი უკიდურესობისაგან. ერთი — მდინარე არფის კანიონიდან და სევანის ტბიდან. მშენებლობა ითვალისწინებს ძალიან ღრმა ტბიდან გაყვანილი ტონელის მეტრი სიღრმისა იქნება. გვირაბის გასაყვანად საერთო ანგარიშით ამოღებულ იქნება მილიონ ტონამდე კუბური მეტრი მტკიცე კლდოვანი ქანები.

არფა-სევანის გვირაბის გაყვანასთან ერთად გაშენდება სომხეთში რამდენიმე კვადრატულ კილომეტრიანი მუშათა რაიონი. სამკურნალო წყლებით ცნობილი კურორტ ჯერმუკში შეიქმნება დიდი წყალსაცავი. მას გარს შემოერტყმება სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბაზები. სომხეთის ეს მაღაოლმთიანი რაიონი ჯანმრთელობის სამჭედლოდ იქცევა.

ე. მელიქ-ნუბაროვი.

... და ტექნიკა

ამოფრქვევა კამჩატკაზე

დაიწყო ახალი ვულკანური ამოფრქვევა კამჩატკაზე. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვულკანოლოგიური სადგურის ცნობით, რომელიც ვულკანიდან 30 კილომეტრზე მდებარეობს, კლიუჩევსკაიას მწვერვალის კრატერიდან თითქმის სამი კილომეტრის სიმაღლეზე აღიმართა ფერფლიანი გაზების ბოძი. ღამღამობით იგი განათებულია გავარვარებული ლავის გამონასხვიებით. განათების სიმაღლე ნახევარ კილომეტრს აღწევს. ვულკანის მიდამოები მთელი 40 კილომეტრის რადიუსზე ფერფლით არის დაფარული.

ფაქტიურად ამოფრქვევა 1960 წლის ზამთარში დაიწყო და ახლა მხოლოდ გაძლიერდა. 1961 წლის ზაფხულში ვულკანის მწვერვალზე ავიდა ვულკანოლოგთა ჯგუფი ეგვენი მარჩინინის მეთაურობით. კიდევ-დან ისინი უთვალთვალებდნენ, თუ როგორ ამოიფრქვეოდა ხოლმე კრატერის ფსკერის სამი ყელიდან 15 წუთის ინტერვალებით მანათობელი ვულკანური ბომბების მადრევნები. ამ მადრევნების სიმაღლე ზოგჯერ 250 მეტრს აღწევდა.

1962 წლის ზაფხულში ვულკანფიზიკოსებმა ჰენრიხ შტეინბერგის ხელმძღვანელობით ვულკანის ფერდობზე (თვით კრატერიდან მის ძირამდე) სეისმოგრაფები დადგეს და რამდენიმე დღის განმავლობაში ისმენდნენ ვულკანის „მაჯისცემას".

კლიუჩევსკაიას ვულკანი ყველაზე მაღალი ვულკანია აზიისა და ევროპის მატერიაზე: მისი სიმაღლე 4.750 მეტრს აღწევს. იგი შედის დიდ ჯგუფში, რომელშიც 11 ვულკანია (მათ შორის მოქმედი — ტოლბაჩიკი და ბეზიმიანი). 1956 წელს მარტში მოხდა ბეზიმიანის ძლიერი ამოფრქვევა. ვულკან ტოლბაჩიკის ამოფრქვევა უკანასკნელად 1962 წლის შემოდგომაზე იყო. მისი კრატერის ფსკერზე გაჩნდა გამდნარი ლავის პატარა ტბა.

კლიუჩევსკაიას ვულკანი განსაკუთრებით აქტიურია, ორნახევარი საუკუნის მანძილზე (კამჩატკის აღმოჩენის დროიდან), რეგისტრირებულია მისი 40-ზე მეტი ამოფრქვევა.

კლიუჩევსკაიას უკანასკნელისწინა დიდი ამოფრქვევა მოხდა 1945 წლის 1 იანვრის წინაღამეს. მაშინ კრატერის ფაფუზე ერთნახევარ კილომეტრზე აისვეტა ცეცხლოვანი „პროტუბერანცი", რომელმაც დაშლა იწყო, თვალისმომჭრელად მნათ ქვებად, ე. წ. ვულკანურ ბომბებად. ბომბები ზღვარულ ცეცხლოვან გრიგალს მოგაგონებდა.

ამჟამად ვულკანოლოგიური სადგური, რომელიც კრატერის ახლოს მდებარეობს, აღჭურვილია თანამედროვე გეოფიზიკური აპარატურით. 1962 წლის ამოფრქვევის შესწავლა ძვირფას მეცნიერულ მასალებს მოგვცემს.

გიორგი გორშკოვი,
(საგაზეთო — „ახალი ამბები").

... ოლიმპიადებზე

უცხოეთისათვის — დამარცხება

სპორტის სასახლე, ჰიდაობის ორი ხალიჩა, 19 ნაკრები კოლეტივი, 150 სპორტსმენი — აი ის ფაქტორები, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის გუნდურ ჩემპიონატს თავისუფალ ჰიდაობაში.

გუშინდელი დღის ბრძოლიდან ცენტრალურ ასპარეზობას „სპარტაკისა" და საბჭოთა არმიის ნაკრები გუნდების შეხვედრა წარმოადგენდა. პირველ წონითს კატეგორიაში პასიური ჰიდაობისათვის მეტოქეებმა კიშიევმა და ჯამილოვმა ორ-ორი გაფრთხილება მიიღეს და მოიხსნენ. სპარტაკელმა მიშიევმა კეეროკოვთან ბრძოლაში სტარტზე დაკარგული ქულები თანდათანობით აინაზღაურა, მაგრამ ბოლოს მეტოქის მარწუხებში მოჰყვა და დამარცხება განიცადა.

ქვემსუბუქ წონაში რომანოვი („სპარტაკი") აქტიურად ჰიდაობდა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე პტიცინი პასიურობდა, გაბოდა ხალიჩიდან, რასთვისაც ამ უკანასკნელს დამარცხება ჩაეთვალა. ჟურულისა („სპარტაკი") და გუსეევის ორთაბრძოლაში ქულებით გაიმარჯვა გუსეევმა. სპარტაკელი ბეკმურზოვისა და გორბატენკოს შეხვედრა თავიდან უღიმღამოდ მიმდინარეობდა, მაგრამ გადაწყვეტ ეტაპზე ბეკმურზოვმა რამდენიმე ილეთი გაიკეთა და გაიმარჯვა ქულებით.

ანგარიში გათანაბრდა — 7 : 7. ასეთ მომენტში გუნდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპარტაკელი გობეჯიშვილისა და არმიელი ალტოლის შეხვედრას შედეგს. ეს მატჩი ალბათ ფრედ დამთავრდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წუთზე ალტოლმა სამარცხვინო უნებურობას მიმართა და მოიხსნა შეჯიბრებიდან.

პასიური ბრძოლისათვის მოიხსნა გოგბედაშვილისა და ანდრეევის წყვილი, ხოლო მძიმე წონაში არმიელმა ივანიცკიმ დაამარცხა პოპოვი.

ამრიგად, მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

დანარჩენი გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო"—„ურეკაი" 20 : 8, „ბურევესტნიკი" — „ მოლოდოვა" 28:4, „ლოკომოტივი"-„ნეფეანიკი" 20:7, „დაუგავა"-„ელვარისი" 18:8, „კარატი"-„ზაბეტი" 20:4, „ტრუდი"-„სევანი" 19:11.

... ფეხბურთი

... ლიდერი აოცებს ერევანს

საიუბილეო ტურნირის მონაწილეებმა დისტანციის ნახევარზე მეტი განვლეს და ფინიშს უახლოვდებიან. მალე შევიტყობთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, უძლიერესი მოჭადრაკის სახელს.

რა მოხდა ჩემპიონატის პირველ ნახევარში? რით გაახარეს გულშემატკივრები უძლიერესმა მოჭადრაკეებმა? ახლა უკვე შეიძლება სპორტულ და შემოქმედებით მიღწევებზე ლაპარაკი.

მონაწილენი ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. ზოგნი იმედით სავსენი არიან, ზოგნი აღარფერს ელიან. ლიდერთა ჯგუფი გარკვეულია. ექვსი გროსმაისტერი და ნიჭიერი ოსტატები დამაჯერებლად მიიწევენ წინ.

გროსმაისტერთა წამყვანი მდგომარეობით ვერავის გააკვირვებ, ეს ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს გროსმაისტერის მაღალ წოდებას იოლად ხომ არ ირიგებენ?

მაგრამ ერთმა შედეგმა ნამდვილად გააკვირვა გულშემატკივრებიცა და სპეციალისტებიც. ჩემპიონატის წინ ოქროს მედლის პრეტენდენტთა შორის ერთ-ერთ პირველს ვ. კორჩნოის ასახელებდნენ. მაგრამ რაც მან გააკეთა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და აღფრთოვანება გამოიწვია ყველაზე სკეპტიკოს კრიტიკოსთა შორის. 10 პარტიდან 7 გამარჯვება და 3 ყაიმი — 8.5 ქულა, ასეთი ფენომენალური შედეგი ჯერ არავის ჰქონია, არავის, არც ერთი ჩემპიონატის სტარტზე. ლენინგრადელი ყველას აოცებს სპორტული და შემოქმედებითი სიძლიერით. კორჩნოი — ტემპერამენტით, გაბედულად, დამაჯერებლად ატარებს ყველა პარტიას. მისი შეტევები ყველა შეხვედრაში მიზანსწრაფულია, ტაქტიკური ჩანფიქრები კი მოულოდნელი. ასეთი თავისებური თამაში დიდ დროს თხოულობს, ციაენტნტებში კი ყოველთვის მოსალოდნელია შეცდომები. ერევანში ვ. კორჩნოის არ ახასიათებს ციაენტობები. როგორც ჩანს, იგი სერიოზულად, ხანგრძლივად ემზადებოდა პირველობისათვის. ამბობენ, ვ. კორჩნოი ერევანში „გაბრაზებული" ჩამოვიდა კიურასაოში ერთგვარი წარუმატებლობის შემდეგო.

3. კორჩნოის უახლოესი კონკურენტები 1,5-2 ქულით ჩამორჩებიან მას. შეძლებს თუ არა რომელიმე მათგანი დაეწიოს ლიდერს? ვ. კორჩნოი უნდა ეთამაშოს მ. ტალს, მ. ტაიმანოვს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს პარტიები გამოავლენს უძლიერესს.

ჩემპიონატის წინ ისმებოდა კითხვა, როგორ ითამაშებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, რადგან ძალზე არამყარი იყო მისი უკანასკნელი შედეგები. ტურნირის სტარტმა თუმცა არა ამომწურავი, მაგრამ მაინც სათანადო პასუხები გასცა ამ კითხვებზე. ტალი უწინდებურად საინტერესო მოჭადრაკეა, იგი ყოველთვის მზად არის განახორციელოს იერიში, გასწიოს რისკი საინტერესო ოპერაციის ჩასატარებლად. მისი ზოგიერთი პარტია ალფრთოვანებას იწვევს. მ. ტალი მე-10 ტურში თამაშობდა ვლადვოსტოკელ ა. ზაიცევთან. ეს იყო შესანიშნავი პაექრობა. მაყურებელი ტაშით აჯილდოებდა მეტოქეთა სვლებს. ახალგაზრდა ოსტატი არ შეუშინდა მ. ტალს და დამაჯერებლად იგერიებდა. რიგელის ეშმაკური დარტყმებს. დაფაზე ყველაფერი იყო, — ლაზერიები, ეტლები, მსუბუქი ფიგურები, პაიკები, და როდესაც კვამლი გაიფანტა, საყაიმო მდგომარეობა შეიქმნა. ნახევარ-ნახევარი ქულა კარგი ჯილდოა თავგანწირული თამაშისათვის.

მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავისი საუკეთესო სპორტული ფორმისათვის. შეიძლება ფინიშზე მან ძველებურად ითამაშოს. ახლა იგი მეორე ადგილზე მიდის. ეს შედეგი თავისთავად არ არის ცუდი, მაგრამ ვ. კორჩნოის წინსულასთან ერთგვაროვად უფერულდება.

ასევე უფერულდება ლიდერის მიღწევათა ფონზე მ. ტაიმანოვის, ს. ტეინის, რ. ხოლმოვის, ბ. სპასკის შედეგები. მ. ტაიმანოვი არ „განიცდის". დამარცხებათა შემთხვევაში მას მაინც უზრუნველყოფილი აქვს ერევნელების ოვაციები... როგორც პიანისტს. მისი კონცერტი შედგა ტურნირის დაწყების წინ. მომავალი კონცერტი კი დანიშნულია ტურნირის დამთავრების შემდეგ.

ძალზე წესარია რ. ხოლმოვი. „აუღელვებლად" კი კარგი შედეგის მიღწევა ძნელია. არათანაბარია შტეინი, სპასკი თანდათანობით შედის ფორმაში.

მრავალი აზრი გამოიწვია ტურნირში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მონაწილეობამ. ამბობდნენ: უკეთესი ხომ არ იყო ტურნირში ძველი თაობის გამოცდილი გროსმაისტერები მოგვეწვია? მე მგონია, რომ ახალგაზრდობამ მეტი სიმწვავე მისცა ასპარეზობას, ახალგაზრდობას უყვარს რისკი, მწვავე ბრძოლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვლადივოსტოკის წარმომადგენლის, ახალგაზრდა ოსტატის ა. ზაიცევის თამაში. იგი მეტად საინტერესო და ნიჭიერი მოჭადრაკეა. მას ფანტაზიისა და გამომგონებლობის კარგი უნარი აქვს, გაბედული და მოხერხებულია, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ჩქარობს. მის საათზე იშვიათად ნახავთ დროის ნაკლებობას. სიჩქარე გამოცდილ „მგლებთან" კარგს არაფერს მოიტანს. ა. ზაიცევმა ეს იცის, და უკანასკნელ პარტიებში აღარ ჩქარობს, ეს უკვე დაეტყო მის შედეგებს.

ყველაზე ახალგაზრდა გ. ხოდოსი მეტისმეტად ზუსტი და ფრთხილი იყო. როგორც ცნობილია, ახალგაზრდობა და სიფრთხილე შორს არიან ერთმანეთისაგან, უკანასკნელ ტურებში როსტოველმა მოჭადრაკემ გაბედულად ითამაშა და ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა.

საკავშირო საიუბილეო ჩემპიონატზე გადამწყვეტი დღეები დადგა, ყველა მოჭადრაკე ცდილობს აღადგინოს დანაკარგი, განამტკიცოს ან შეინარჩუნოს სატურნირო მდგომარეობა. ყველა ვერ შეძლებს იბრძოლოს ოქროს მედლისათვის, რადგან ბევრს ქულები აკლია. სამაგიეროდ დაწესებულია მრავალი პრიზი, ჯილდო. ჩემპიონატის 20 მონაწილე მზად არის მთელი ძალით იბრძოლოს უკანასკნელ ტურამდე. ეჭვგარეშეა ფინიში მეტად მიმზიდველი იქნება.

ა. კოტოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ერევანი, 6 დეკემბერი.

... ფეხბურთი

... ...